კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.archives-ajara.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 09 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო
www.archives-ajara.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
76,19%
75,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
49,75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
43,75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
20,69%
13,67%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
25,00%
29,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
11,54%
38,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
18,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების- საარქივო სამმართველოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამმართველოს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამმართველოს უფროსის კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, უფროსის შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი; განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „უფროსი“ საკონტაქტო რეკვიზიტებიდან მოცემულია მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

თენგიზ ცინცქილაძე

დაიბადა 1955 წლის 11 აპრილს, ქ. ქუთაისში.

ტელ.: +995(577) 54-44-06

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სამუშაო გამოცდილება

- 1977 წელს დაამთავრა მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი.
- 1977-1979 წწ მუშაობდა ქ.თბილისში, ტრესტი „ЮВМА" ინჟინერ გამმართველად.
- 1979-1987 წწ მუშაობდა ქ.ბათუმში პლასტიკური მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსს ინჟინერად, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.
- 1987 წლის 5 იანვრიდან 1987 წლის 7 აპრილამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსს რეფერენტად.
- 1987 წლის 7 აპრილიდან 1989 წლის 12 იანვრამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგედ.
- 1989-1992 წწ მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განყოფილების გამგედ.
- 1992-1995 წწ მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ.

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია სასურველია, მოცემული იყოს აგრეთვე ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“:



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქ. 126, 6010
ტელ.: +995 (422) 27-52-10
ფაქსი: +995 (422) 27-52-10
ელ. ფოსტა: info@archives-ajara.gov.ge

ტერიტორიული ორგანოები:

1. ქობულეთის ადგილობრივი არქივი, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N140-გ
2. ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივი, დაბა ხელვაჩაური, კაპანდიები
3. ქედის ადგილობრივი არქივი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქ. N 12
4. შუახევის ადგილობრივი არქივი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაზის ქ. N 8
5. ხულოს ადგილობრივი არქივი, დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ. N 10

სამუშაო საათები: 9^{00} - 18^{00} (შაბათ-კვირის გარდა)

- არ მოიძიება სამმართველოს უფროსის მოადგილეების კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების ფაქსის ნომრები და ერთ-ერთი მოადგილის სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი. განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „მოადგილეები“ მოადგილეების საკონტაქტო რეკვიზიტებს შორის მოცემულია საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და მხოლოდ ერთი მოადგილის სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი:



სანდრო ბერიძე

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე (2008)

დაბადების თარიღი: 08.03.57
მობილური ტელ.: +995(577) 26-14-20
ელ.ფოსტა: sandro_beridze@mail.ru

განათლება:

- 1978 – 1983 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა;

პროფესიული საქმიანობა:

- 2008 – დღემდე აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 1995- დღემდე სალიტერატურო-საზოგადოებრივი ჟურნალის ,,ჭოროხის" მთავარი რედაქტორი;
- 1993-1995 აჭარის არ უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;
- 1991-1995 აჭარის არ უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი;
- 1991-1992 ქედის რაიონის პრეფექტი;
- 1989-1991 გზეთ ,,საბჭოთა აჭარის" სპეციალური კორესპონდენტი;
- 1985-1989 ქედის რაიონული გაზეთის ,,კოლმეურნეს" რედაქცია, წერილების განყოფილების გამგე;
- 1982-1985 ქედის რაიონის ჯალაბაშვილების რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

გამოქვეყნებული წიგნები:
არის 5 პოეტური კრებულისა და ერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ავტორი

ნარგიზ ბასილაძე

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე (2010)

დაბადების თარიღი: 08.04.55
მობილური ტელ.: +995(577) 26-14-41

განათლება:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობა

პროფესიული საქმიანობა:

- 2010 – დღემდე აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 2004-2005 აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
- 2001-2004 ქობულეთის N-7 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
- 1996-1999 თბილისის N-60 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი;
- 1984-1996 ქობულეთის N-1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი;
- 1973-1984 ბობოყვათის საშუიალო სკოლა, ისტორიის მასწავლებელი.

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია სასურველია, მოცემული იყოს აგრეთვე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამმართველოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სამმართველოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქ. 126, 6010
ტელ.: +995 (422) 27-52-10
ფაქსი: +995 (422) 27-52-10
ელ. ფოსტა: info@archives-ajara.gov.ge

ტერიტორიული ორგანოები:

1. ქობულეთის ადგილობრივი არქივი, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N140-გ
2. ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივი, დაბა ხელვაჩაური, კაპანდიები
3. ქედის ადგილობრივი არქივი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქ. N 12
4. შუახევის ადგილობრივი არქივი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაზის ქ. N 8
5. ხულოს ადგილობრივი არქივი, დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ. N 10

სამუშაო საათები: 9^{00} - 18^{00} (შაბათ-კვირის გარდა)

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამმართველოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები).

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამმართველოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

  განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „თანამშრომლები“ მოცემულია ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები, ამასთან, წარმოდგენილ სტრუქტურაზე აკლია დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების ხელმძღვანელის სახელი და გვარი:



- არ მოძიება ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, სამმართველოს სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე) მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „თანამშრომლები“ განთავსებულ ბმულზე მიმაგრებულ დოკუმენტში „საარქივო სამმართველოს სტრუქტურა“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“, სადაც განთავსდება სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული შესაბამისი ინფორმაცია.

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ, არ მოიძიება:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

  განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „თანამშრომლები“ მოცემულია სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:



- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



არქივები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში დაცულია 600 ათასამდე დოკუმენტი საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, რელიგიური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ XIX საუკუნის 70 – ნი წლებიდან დღემდე

საარქივო სამმართველოს მისიაა ეროვნული საარქივო ფონდის დაცვა-განვითარება და მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვა.

ტერიტორიული ორგანოები:

1. ქობულეთის ადგილობრივი არქივი, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N140-გ
2. ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივი, დაბა ხელვაჩაური, კაპანდიბი
3. ქედის ადგილობრივი არქივი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქ. N 12
4. შუახევის ადგილობრივი არქივი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაზის ქ. N 8
5. ხულოს ადგილობრივი არქივი, დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ. N 10

ამასთან, სასურველია, განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მოცემულ სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალს დაემატოს ზემოთ ხსენებული შესაბამისი საკონტაქტო რეკვიზიტები:



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქ. 126, 6010
ტელ.: +995 (422) 27-52-10
ფაქსი: +995 (422) 27-52-10
ელ. ფოსტა: info@archives-ajara.gov.ge

ტერიტორიული ორგანოები:

1. ქობულეთის ადგილობრივი არქივი, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N140-გ
2. ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივი, დაბა ხელვაჩაური, კაპანდიბი
3. ქედის ადგილობრივი არქივი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქ. N 12
4. შუახევის ადგილობრივი არქივი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაზის ქ. N 8
5. ხულოს ადგილობრივი არქივი, დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ. N 10

სამუშაო საათები: 9^{00} - 18^{00} (შაბათ-კვირის გარდა)

7. სამმართველოსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამმართველოს გააჩნია სათათბირო ორგანო - სამეცნიერო მეთოდური საბჭო, ხოლო ვებ-გვერდზე არ მოიძიება ხსენებული სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);

- არ მოიძიება სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო მეთოდური საბჭოს სტრუქტურა, ხოლო სათათბირო ორგანოს დებულება და შემადგენლობა მოცემულია განყოფილებაში „სიახლეები“ წარმოდგენილ საინფორმაციო ხასიათის ცნობებში:


25 იანვარი 2010 წელი

სამეცნიერო მეთოდური საბჭოს შექმნა

საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, დოკუმენტური წყაროების გამოვლენის, პუბლიკაციის და სამეცნიერო საზოგადოებებთან ურთიერთობების განვითარების მიზნით შეიქმნა სამეცნიერო მეთოდური საბჭო.

დებულება | შემადგენლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობა

1) კახაბერ სურგულაძე
2) თამაზ ფუტკარაძე
3) სანდრო ბერიძე
4) მადონა ცხადაძე
5) ეთერ ნათელაძე
6) თენგიზ სალუქვაძე
7) ხათუნა შერვაშიძე
8) ელგუჯა ჩაგანავა
9) თეონა იაშვილი
10) მერაბ კეზევაძე

- არ მოიძიება სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო მეთოდური საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სათათბირო ორგანო“, რომელშიც განთავსდებოდა ხსენებული სათათბირო ორგანოს შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ვაკანსიების და ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), სამმართველოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები (მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის წარსადგენი სამმართველოს საქმიანობის შესახებ მომზადებული ანგარიშები), პროგრამები (მათ შორის, სამმართველოს მიერ შემუშავებული პერსპექტიული მიზნობრივი პროგრამები და მიმდინარე გეგმები ავტონომიური რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე) და პროექტები, გეგმები (მათ შორის, სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმები და პრიორიტეტები) და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები (მათ შორის, სამმართველოს მიერ მომზადებული სტატისტიკური ანგარიშები საარქივო ფონდის მოცულობის შესახებ), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამმართველო“ – „ბიუჯეტი“ არ იხსნება;

აგრეთვე, განყოფილება (ბანერი) სათაურად „ფონო გალერეა“ იუწყება, რომ გვერდი მზადდება:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამმართველოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამმართველოს უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;

- არ მოიძიება სამმართველოს უფროსის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და აგრეთვე, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ამასთან, განყოფილებაში „სიახლეები“ განთავსებული უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობა თარიღდება 2010 წლის იანვრის თვით, რაც არ აძლევს მომხმარებელს საშუალებას გაეცნოს სამმართველოს მიერ 2010 წლის იანვრის თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ ცნობებს:


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში გასამართი ატესტაციის ჩატარების წესი.

12 თებერვალი 2010 წელი
მოეწყო საარქივო სამმართველოში დაცული შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა.

11 თებერვალი 2010 წელი
ქველმოქმედება
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს ქ.ბათუმის ფილიალმა (მმართველი ბ-ნ გიორგი თავართქილაძე) საარქივო სამმართველოს ქველმოქ-მედების მიზნით 2010 წლის 11 თებერვალს საჩუქრად გადმოსცა კომპიუტერული ტექნიკა....»»»»

09 თებერვალი 2010 წელი
ელიტარული სკოლა "გორდას" მოსწავლეებს ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი საარქივო დაწესებულებათა მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ.

29 იანვარი 2010 წელი
ბათუმის პროფესიული სწავლების ცენტრის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ლექცია თემაზე:
1. საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მნიშვნელობა.

25 იანვარი 2010 წელი
სამეცნიერო მეთოდური საბჭოს შექმნა
საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, დოკუმენტური წყაროების გამოვლენის, პუბლიკაციის და სამეცნიერო საზოგადოებებთან ურთიერთობების განვითარების მიზნით შეიქმნა სამეცნიერო მეთოდური საბჭო.
დებულება | შემადგენლობა

10. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სამმართველოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამმართველოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამმართველოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამმართველო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამმართველო.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამმართველო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამმართველო.

14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამმართველოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, აღნიშნულ განყოფილებაში სასურველია განთავსდეს სამმართველოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სამმართველოს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტები - ბრძანებები, (მათ შორის, უფროსის მიერ დამტკიცებული სამმართველოს საშტატო განრიგი; საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეების (გარდა მოადგილეების) უფლებამოსილებების განმსაზღვრელი

ბრძანება, სამართლებრივი აქტების პროექტები საარქივო ფონდის განვითარების და სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხების თაობაზე; სამმართველოს ცენტრალური აპარატის და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, ამოცანებისა და სტრუქტურის განმსაზღვრელი ბრძანება და სამმართველოს საშტატო განრიგი).

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სამმართველოს დებულება და შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამმართველოში

შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამმართველოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამმართველოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამმართველოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამმართველოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

20. სამმართველოსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამმართველო გასცემს შემდეგი სახის ნებართვებს:

- გასცემს ნებართვებს საარქივო ფონდის დოკუმენტების ასლების გატანის თაობაზე;

- გასცემს ნებართვებს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძველი დოკუმენტური ძეგლების მოძიებასა და შეგროვების თაოაბზე.

ვებ-გვერდზე არ მოძიება სამმართველოს მიერ განსახორციელებელ ზემოთ ხსენებულ ქმედებათა შესახებ შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამმართველოს იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ზემოთ ხსენებულ ქმედებათა განხორციელებაზე;

- არ მოიძიება განცხადების ფორმები და თითოეული განცხადების ფორმის შევსების ინსტრუქცია, რომლებიც აუცილებელია ზემოთ ხსენებულ ქმედებათა განსახორციელებლად;

- არ მოიძიება ზემოთ ხენებულ ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით სამმართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

➢ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამმართველოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➢ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამმართველოსათვის გამოყოფილი ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამმართველოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამმართველოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამმართველოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამმართველო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამმართველოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
0,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47,06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52,63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ძიება**

ვებ-გვერდს ძიების მოდული არ გააჩნია, მათ შორის არც დეტალურის ძიების მოდული. ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოსაძიებლად ხშირად სწორედ ზემოთ აღნიშნული მოდულები გამოიყენება და მათ არქონის შემთხვევაში ვებ-გვერდი პრაქტიკულობას კარგავს;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდს არ გააჩნია საკონტაქტო ფორმა:



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, ბათუმი, გორგასალის ქ. 126, 6010
ტელ.: +995 (422) 27-52-10
ფაქსი: +995 (422) 27-52-10
ელ. ფოსტა: info@archives-ajara.gov.ge

ტერიტორიული ორგანოები:

1. ქობულეთის ადგილობრივი არქივი, ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N140-გ
2. ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივი, დაბა ხელვაჩაური, კაპანდიები
3. ქედის ადგილობრივი არქივი, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქ. N 12
4. შუახევის ადგილობრივი არქივი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაზის ქ. N 8
5. ხულოს ადგილობრივი არქივი, დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ. N 10

სამუშაო საათები: 9^{00} - 18^{00} (შაბათ-კვირის გარდა)

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მის სწორად დახარისხებაშიც. თუ ყველა გვერდს არ მიენიჭა შესაბამისი სათაური, ის გვერდი ვერ მოხვდება საძიებო სისტემების შესაბამის ზონაში.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ყველა გვერდს იდენტური სახელწოდება (Title) აქვს, რის გამოც აღნიშნული გვერდები ნაკლებად ხელმისაწვდომია ინტერნეტ-სივრცეში.

მაგალითად გვერდი „ცნობები“ სათაურით: „აჭარის არ საარქივო სამმართველო“



გვერდი „კონტაქტი“, სათაური იდენტურია: „აჭარის არ საარქივო სამმართველო“



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის „scroll bar“-ი დამუშავებულია პროგრამულად. მას შეცვლილი აქვს იერსახე, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იერსახე შეცვლილი „scroll bar“-ი ყველა ბრაუზერში არ ფუნქციონირებს.

მაგალითად ბრაუზერი “Opera”:



ბრაუზერი „Safari“, სადაც აღნიშნული პროგრამული კოდი არ ფუნქციონირებს:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდს არ გააჩნია ინტეგრაცია არცერთ სოციალურ ქსელთან. მას არც ოფიციალური გვერდი აქვს Facebook-ზე;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე არ იფილტრება GET ტიპის ცვლადები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა გვერდების ჩასატვირთად. მათი ხელოვნურად შეცვლის შემდეგ, ვებ-გვერდზე ფიქსირდება შეცდომები. ეს არის ერთ-ერთი გავრცელებული ხარვეზი, რის მეშვეობითაც ხდება ვებ-გვერდზე კიბერ შეტევის განხორციელება. მაგ:

ასევე ვებ-გვერდზე არსებობს XSS ხარვეზი, რომლის გამოყენებაც კიბერ შეტევის. მაგ:



ჩვენ სპეციალურად არ ავღწერთ დეტალებს ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა აჭარის არ საარქივო სამმართველოს ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია ძველი ტექნოლოგიებით. მას აქვს სხვადასხვა ხარვეზები, როგორც სტრუქტურის მხრივ, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის კუთხითაც. ვებ-გვერდს პირველ რიგში აკლია საძიებო სისტემა, გამოსასწორებელი აქვს საკონტაქტო ფორმები და წესები, გასაკეთებელია ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვებ-გვერდს აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები უსაფრთხოების კუთხით.